შრომითი ხელშეკრულება №6

დ. ხარაგაული 08 იანვარი 2016 წელი

ერთის მხრივ,სსიპ თვითმმართველი ერთეული ხარაგაულის მუნიციპალიტეტი (მისამართი: დაბა ხარაგაული 9 აპრილის ქუჩა #15) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ინგა მაღრაძის სახით (შემდგომში –დამსაქმებელი) და მეორეს მხრივ, მოქალაქე გიორგი ჭყოიძე(პირადი 56001021496 ბარათის №13IG17664 გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ) მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე შრომით ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

მოქალაქე გიორგი ჭყოიძე მიღებულ იქნეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შტატგარეშე მოსამსახურედ.

მუხლი 2. დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოები (ფუნქციები)

1. დასაქმებულს ევალება პირადად შეასრულოს შემდეგი სამუშაო:

ა) ორგანიზება გაუწიოს საკრებულოს, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს ფრაქციებისა და საკრებულოს სამუშაო ჯგუფების, თანამდებობის პირებისა და საკრებულოს წევრების შეხვედრებს მოსახლეობასთან.

ბ) უზრუნველყოს საკრებულოს საქმიანობის შესახებ ოფიციალური ინფორმაციის გავრცელება.

გ) ორგანიზაცია გაუწიოს პრეს–კონფერენციების, ბრიფინგების, ,,მრგვალი მაგიდების'', ჟურნალისტებთან შეხვედრების ჩატარებას.

დ) მოახდინოს საკრებულოს შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქებული მასალების და პუბლიკაციების ანალიზი.

ე) ასრულებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის დავალებებს;

მუხლი 3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

1. დასაქმებულს უფლება აქვს:

ა) დამსაქმებლისაგან მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების და მოქმედი კანონმდებლობის დაცვა;

ბ) დამსაქმებლისაგან მოითხოვოს შრომის უსაფრთხო პირობების შექმნა და დაცვა;

2. დასაქმებული ვალდებულია:

ა) შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები კეთილსინდისიერად, დროულად და მაღალ პროფესიულ დონეზე;

ბ) დაიცვას შრომის ხელშეკრულების პირობები.

გ) ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლის შემთხვევაში ,,დამსაქმებელს" შეატყობინოს ორი კვირით ადრე.

3. დამსაქმებელს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს დასაქმებულისგან დაკისრებული ვალდებულების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება;

ბ) დასაქმებულისაგან მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დადგენილი პირობების დაცვა;

4. დამსაქმებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ამ ხელშეკრულებით და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პირობები;

ბ) თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, დასაქმებულს შეუქმნას ნორმალური მუშაობისათვის საჭირო სამუშაო პირობები;

გ) დასაქმებულს შეუქმნას შრომის უსაფრთხო პირობები;

დ) დროულად და სრულად უზრუნველყოს დასაქმებულისთვის შრომის ანაზღაურების მიცემა.

მუხლი 4. შრომის ანაზღაურება (ხელფასი)

1. შესრულებული სამუშაოსათვის დასაქმებულს ეძლევა შრომის ანაზღაურება (ხელფასი) ხელშეკრულების მოქმედების ვადით, რომლის ოდენობა შეადგენს 500(ხუთასი) ლარს.

2. შრომის ანაზღაურების (ხელფასის) გაცემა ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

3. დამსაქმებელი დაუკავებს დასაქმებულს საშემოსავლო გადასახადს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხისმგებელნი არიან ერთმანეთის წინაშე ვალდებულებების შეუსრულებლობით წარმოშობილი ზიანისთვის, თუ იგი დაუძლეველი ძალის მოქმედებით არ იყო გამოწვეული.

მუხლი 6. შრომითი ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება და შეწყვეტა

წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება და შეწყვეტა ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლებითა და წესით.

მუხლი 7. დავა

მხარეთა შორის წარმოშობილი დავის გადაწყვეტა ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის 8 იანვრიდან და ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 8 ივნისის ჩათვლით.

მუხლი 9. ცვლილებები და დამატებები

ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა შესაძლებელია ორივე მხარის შეთანხმების საფუძველზე წერილობითი ფორმით.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

1. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით წესრიგდება მოქმედი კანონმდებლობით.

2. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა ხელმოწერები

,,დამსაქმებელი"

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე: ინგა მაღრაძე

,,დასაქმებული" გიორგი ჭყოიძე